№ 107
ოთხშაბათი, 4 ივნისი 1897 წ.

1877 – 1897

ივერია

№ 107
ოთხშაბათი, 4 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

ჯაჯეთი ლირა:

ფუ	მან. კ.	თვე	მან. კ.
2	10 —	6	6 —
1	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
7	8 —	3	3 50
1	7 25	2	2 75
1	6 50	1	1 50

ცალკე ნომ — —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის მღვდელი ალექსანდრე სიმონოვი აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხვალ, 5 ივნისს შესრულდება წლის თავი მისის დაუვიწყარის მამის

არქიმანდრიტის ნიკოლოზის

გარდაცვალებისა, უმორჩილესად სთხოვს მობრძანდნენ წირვისა და პანაშვიდის მოსასმენად, რომელიც დიდუბის ღვთის-მშობლის ეკლესიაში იქმნება გარდახდილი. წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება.

(1—121—1)

მთავრობის განკარგულებანი

[illegible] ოდესა სასამართლოს წევრი, კოლეგიცია ასესორი პეტერსენი—ტფილისის ოდესა სასამართლოს უფროს ნოტარიუსად.

ახალი ამბავი

—

** გუშინ, 3 მაისს, დასრულდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. ამ დღეს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევანი უნდა ყოფილიყო. ყუთი დაიდგა მხოლოდ უწინდელმავე წინამძღოლმა თავადმა კ. ი. მუხრან-ბატონმა. როდესაც კენჭის თვლა დაამთავრეს, აღმოჩნდა 130 თეთრი კენჭი და 57 შავი. ამ არჩევანს მისნი მომხრენი დიდის ტაშისცემით მიეგებენენ. შემდეგ უფრო მეტის უმრავლესობით ამორჩეულ იქმნა დეპუტატთა საკრებულოს მდივნად უწინდელივე მდივანი ზ. დ. ასლამაზოვი.

** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ 1 ივნისს განიხილა კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე, ერობის შემოღება ჩვენში და სხვა. ამ უკანასკნელ საგნის გამოსაკვლევად ცალკე კომისია იქმნა არჩეული. დაწვრილებით ანგარიშს ამ სხდომების შესახებ შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

აქ მოვიყვანთ სიას იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც ამორჩეულ იქმნენ მაზრის წინამძღოლებად. ეს არჩევანი გუშინ-წინ, 2 ივნისს იყო.

კენჭი იყარეს: თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ თავ. დ. ს. მაყაშვილმა (მიიღო 23 თეთ.), თავ. ი. ა. ქობულიშვილმა (21 თეთ. და 2 შავი) და თავ. ა. რ. ვახვახიშვილმა (20 თეთ. და 3 შ.). იმავე მაზრის დეპუტატის თანამდებობაზედ თავ. ი. გ. ქავქავაძემ (23 თეთ.) და ზ. ტ. ჯაფარიძემ (20 თეთ. და 3 შ.). დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: თავ. ზ. ერისთავმა (19 თეთ. და 12 შ.), გ. ა. ყარანგოზიშვილმა (19 თეთ. და 12 შ.) და თავ. ლ. ნ. მუხრან-ბატონმა (11 თეთ. და 20 შ.) დეპუტატის თანამდებობაზედ: დ. ი. რატაშვილმა (24 თეთ. და 5 შ.) და ზ. გედევანიშვილმა (26 თეთ. და 3 შ.) ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: ი. ვ. საგინაშვილმა (37 თეთ. და 16 შ.), თავ. ი. გ. ბარათაშვილმა (37 თეთ. და 16 შ.), თავ. ი. გ. ბარათაშვილმა განაცხადა, რადგანაც ორთავეს ერთნაირი რიცხვი კენჭებისა ამოგვივიდა, თანამდებობას საგინაშვილს ვუთმობო. დეპუტატის თანამდებობაზედ: გ. ი, ყარაშვილმა (28 თ. და 24 შ.) და ი. გ. თულაშვილმა (43 თეთრი და 9 შავი), გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა (72 თეთ. და 12 შ.) და თავ. რ. ე. ჯავახიშვილმა (49 თეთ. და 36 შ.) დეპუტატის თანამდებობაზედ: ი. რ. თარხანმოურავმა (65 თეთ. და 11 შ.) და ა. ა. ამირაჯიბმა (58 თეთ. და 19 შ). ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ: თავ. გ. დ. აბხაზმა (14 თეთ. და 5 შ) და კორნეტ ჰასან-ბეგ იეფიგარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის ძალითაც ორს ამორჩეულს კაცს მიანდვეს იშუამდგომლონ კავკასიის უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა რიიმე ღონე იღონოს აქაურ სოფლთა მღვდლების წინაღმდეგ, რომელთაც მითითებულს ბედავის წმიდა გიორგის ნიში ამ ნიშის საკუთარ მიწით. ძველი ხატები ამ ნიშიდგან, განაჩენის სიტყვით, დიდი ხანია დუშეთის სომეხთა ეკლესიაში გადაუტანიათ, თვით ნიში „სურბგეურქად“ გადაუკეთებიათ და მართმადიდებელ მღვდლებს შიგ აღარ უშვებენ თურმე (გაზ. „კავკაზი“).

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს შუამდგომლობა დაუწყია საერო განათლების სამინისტროს წინაშე და ითხოვს, რომ ამიერკავკასიაში სწავლა-განათლების გავრცელების საჭიროებისათვის გადადებული იქმნას საერო თანხიდგან: ერევნის გუბერნიისათვის 48,000 მან. ერთხნრობით უკვე არსებულ და მომავალ ნორმალურ სასწავლებელთათვის შენობების ასაგებად, ადგილობრივ სამასწავლებლო სემინარიაში სამეურნეო საგნების შესასწავლად ყოველ წლობით 600 მანეთი; ტფილისის გუბერნიისათვის —4,500 მანეთი ყოველ წლივ ახლად დასაარსებელ 5 ნორმალურ თითო კლასიან სასწავლებელის შესანახად, გორის სოსლტატ სემინარიაში მეურნეობის სწავლებისათვის ყოველ წლობით 625 მ., ქვემო ჭალისა და ვორონცოვკის სასწავლებლებისათვის ერთად ყოველ წლობით 1,000 მ. ბაქოს გუბერნიისათვის— 4,200 მ. ყოველ წლობით, 6 სასწავლებელის შესანახად და შენობების ასაგებად ამ სასწავლებელთათვის 6,600 მ.; ქუთაისის გუბერნიისათვის—2,700 მ. ყოველ წლობით ერთ-კლასიან სასწავლებლისა, ზუგდიდის ქალაქისა და ახალ სენაკის ნორმალურ სასწავლებლებთან სახელოსნო განყოფილებების შესანახად, 1,000 მ. ერთხნრობით მომავალ ერთ კლასიან სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად, 1200 მ. ქუთაისის სამასწავლო ლოსემინარიისათვის და 1000 მ. ყოველ წლობით დ. ხონში სამ-ლ-ანნო სასწავლებლის შესანახად; ბაკურ გუბერნიისათვის—3,680 მ. ყოველ წლივ ორ ორ-კლასიან სასწავლებლის შესანახავად და 16,600 მ. ქ. განჯაში არსებულ საქალებო სასწავლებლისათვის; ჩერნომორიის გუბერნიისთვის 2,800 მ. მუდამ წელს 4 თითო კლასიან სასწავლებელთათვის.

*** წელს სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრეს სულ ოც-დაცხრა მოსწავლემ. ამათში ორი რუსია, ერთი ოსი და დანარჩენი ქართველები, სახელდობრ: ბედიაშვილი სპირდონი, ბენიაშვილი მიხეილი, ვარდიაშვილი ლევანი, გაბაოშვილი კონსტანტინე, გამზარდია გიორგი, გორგაძე სერგო, გორდულაძე რაფდენი, ჯიმშელეიშვილი ხარიტონი, ივანიცკი ვლადიმერი, ზარაფიშვილი დავით, კალანდარაშვილი ირაკლი, კანდელაკი რაფდენ, კელენჯერიძე კირილე, კელენჯერიძე ლუკა, კვსაევი იერემია, ლუკიანიშვილი ივანე, ლომბროვი ვასილ, მახარაძე გრიგოლი, მეტრეველი გრიგოლ, ნასარაძე გრიგოლი, ნაცვლიშვილი მიხეილი, ნუცუბიძე გერასიმე, სისაური ირიდონი, სმირნოვი ალექს., თოფურიძე გრიგოლი, თოთრაძე ექვთიმე, თოლორაია ანდრია, ხაზარაძე სერაფიონი და შილოკაძე დიომიდე.

*** იოსებ ქავთარაძის საქმის გარჩევა, რომელსაც მევახშეობა ბრალდება, დანიშნულია ტფილისის ოლქის სასამართლოში 12 სექტემბრისათვის.

*** 1 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზედ, მეცხრე პოლიციის ნაწილში, ვანქის პირდაპირ, მტკვარის მარჯვენა ტოტში სამი ყმაწვილი კაცი ბანაობდა, ერთი იმათგანი შეიტაცა მორეკვა და ერთბაშად ჩასძირა. დანარჩენნი ორნი გაიქცნენ და იმ საბრალო ყმაწვილის ტანისამოსი რიყეზედ დარჩა უპატრონოდ. როგორც ტანისამოსზედ ეტყობა, დამბრჩვალი ადგილობრივი მცხოვრებელი უნდა იყოს. პოლიცია ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც გვიან იპოვნა ჯერ და ვერც დამბრჩვალის ვინაობა შეიტყეს.

*** 1 ივნისს, ნაშუადღევის სამს საათზედ, სიღნაღის მცხოვრებელმა იაგორა კოდომ სხვა გასაღებით გააღო ყლიტე ფარასდანოვის ფეხსაცმელის მაღაზის კარებისა მიხაილოვის ხიზეზედ. შუშა გასტეხა და იმ დროს, როდესაც უნდოდა შემძვრალიყო, ასასხმა გაუგეს და გაიქცა, მაგრამ პოლიციელმა დაიჭირა და პოლიციაში წარადგინა.

*** 1 თიბათვეს, მე 6 საწილში, მირზოევის სახლთან ბბანაობდა შადინოვის მეგაღე, შორაპნის მაზრის სოფ. მერეველის მცხოვრებელი. სამსონ გიორგის ძე კუტელიძე 20 წლისა. ბანაობის დროს წყალმა შეიტირია შუა ადგილს და დაარჩო. გვამი ჯერ-ჯერობით ვერსად ვერ იპოვეს.

*** 1 თიბათვეს, შუადღის 12 საათზედ, მარკოზ ნიკიტას ძე დანელიაკმა დაიჯახა ეტლი ცხენის რკინის გზაზე მიმავალ ვაგონის კიბეზე მდგომ კონდუქტორს სიმონ გრიგოლის ძეს კობისოოს და ძლიერ დაშავა. დაშავებული მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

31 მაისი.

29 მაისის კრებაზედ გუბერნიის წინაამძღოლმა კრების დადგენილებით შემდეგი ორი დეპეშა გაჰგზავნა ს.-პეტერბურგს:

მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს.

„მოისმინა რა დღევანდელ სხდომაზედ თქვენი იმპერატორებითის უმაღლესობის მზრუნველობა ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის სხვა და სხვა სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსების შესახებ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება ერთხმად უგულითადესს მადლობას უძღვნის თავისს უკვეთესს ნამესტნიკად ნამყოფს“.

მის მაღალ აღმატებულებას ბ-ნ ფინანსთა მინისტრს ს. ი. ვიტტეს.

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებამ მომანდო მე გამოვუცხადო თქვენს მაღალ აღმატებულებას უღრმესი მადლობა თქვენ მიერ მინისტრთა კომიტეტში ქართველ თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის საქმეში მხურვალე მონაწილეობის მიღებისა გამო“.

კრების დაწყებამდე 31 მაისს გარდახდილ იქმნა პარაკლისი დიდის მთავრინას ტატიანა ნიკოლოოზის ასულის დაბადების გამო.

შემდეგ გუბერნიის მარშალმა წაკითხა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისაგან მიღებული სპასუხო დეპეშა ამ შინაარსისა:

„ტფილისი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინაამძღოლს. გთხოვთ გადასცეთ პატივცემულს თავად-აზნაურთა კრებას ჩემი უგულითადესი მადლობა დეპეშის გამო. ყოველთვის მოხარული ვარ, როდესაც შემთხვევა მეძლევა ქართველ თავად-აზნაურთა სასარგებლოდ რაიმე გავაკეთო.

მიხეილი“.

ამავე დროს წაკითხულ იქმნა ფინანსთა მინისტრისაგან მიღებული სპასუხო დეპეშა. მინისტრი იწერება:

„მოხარული ვარ, რომ შეძლებისა დაგვარად სამსახური გავუწიე ჩემს საყვარელს სამშობლოს. გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორც თქვენ, აგრეთვე ტფილისის თავად-აზნაურთ, მიიღოთ ჩემი მხურვალე სალამი და ჩემი გულწრფელი სურვილი, რომ წარმატებულიყოს ქართველთა ახალგაზდობის განათლების კეთილი საქმე.

სტატს-სეკრეტარი კოტტე“.

ორივე დეპეშას ყველანი „ვაშა“-ს ძახილით მიეგებნენ.

შემდეგ კრება ხელ-ახლა დაუბრუნდა იმას, თუ რა რიგად უნდა იქმნას არჩეული იმ კომისიის წევრნი, რომელთაც უნდა გადაათვალიერონ პროექტი თავად-აზნაურთა მამულების მართვა-გამგეობისა. ცოტაოდენს კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დადგინა: ნება მიეცეთ მაზრის წინამძღოლთ, რომ მათ აირჩონ ყველა მაზრიდგან თითო კაცი და იმათგან შეადგინონ კომისია.

შემდეგ კრებამ ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა ახლად გარდაცვალებულის თავ. ნიკოლოოზ ზურაბის ძის ქავქავაძის ხსენებას.

მერე განხილულ იქმნა ოძისის და მომავალ სამეურნეო სკოლის საქმე. უმეტესი ნაწილი ორატორთა იმ აზრისა იყო, რომ ხსენებული სკოლის დაარსება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც ამისათვის საჭირო თანხა თავად-აზნაურთ არ მოეპოვება.

გ. ა. ყარანგოზოვი. პირდაპირ უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთის საჩუქრის მიღება არ შეგვიძლიან, რადგან მეტად მძიმე პირობები გვაძლევენ ს ჩუქრად. მე თვითონ შემიძლიან შემოგწეროთ მამული, მხოლოდ იმ პირობით, თუ თავად-აზნაურთა ფულით ქარხანას გამართავთ.

დ. ი. მუსესოვიანი, თავ. კ. ბაბანაძე და თავ. გ. ი. თორსან-მოურავი ურჩევენ კრებას, სთხოვონ თავ. ზ. გ. ერისთავს, რომ მან სკოლის დაარსება შემდეგისთვის გადასდოს.

თავ. ი. ს. ჯაჯანაძე წინაღმდეგია იმისა, რომ კრებამ უარი განაცხადოს საჩუქარზედ.

თავ. კ. მ. ამირაჯიბი. სოფ. ოძისი, ჩემის აზრით, არ გამოდგება საუნივერსიტეტო სკოლისათვის. ჩვენში არ არის ისეთი კარგად გამართული მამულები, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ პრაქტიკულად იმეცადინონ. ოძისში-კი შეუძლებელია სამაგალითო მეურნეობის დაარსება. იქ საკმარისო ადგილი არ არის სახნავ-სათესად, ვენახის გაშენებაც არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად გაათავებს ადამიანს. ამ გვარად, თორმეტი სხვა და-სხვა სენი გამოვიკვლე, სულ ერთი მეორეზედ უარესი. გარდა ამისა, სხვა-და-სხვა სენის მიკრობებს ერთმანეთში ეურევედი და ერთად ვასაზრდოებდი, რომ ამ რიგად სხვა ახალი სენი შემექმნა. როგორც გამოცდილებამა და დაკვირვებამ დამაწმუნა, მართლაც აქედან წარმომდგარს ავადმყოფობას ყველი ის ნიშნები ჰქონდა ხოლმე, რომლებსაც მიკრობების ცალკე საზრდოობის დროს ვპოვებდი. ამრიგად გამოვიგონე ახლანდელი ინფლუენცა მალარიისა (ციებისა) და ფილტვების ანთების მიკრობების შერევითი. იმ ხანად ერთს დროს პეტერბურგში ვცხოვრობდი და აქ შემთხვევით დავკარგე ის მინა, სადაც ინფლუენცის მიკრობები მყავდა. უთუოდ ეს მინა იპოვა ვინმე და თავი მოჰხადა, რადგანაც გავრცელდა თუ არა ინფლუენცა, მაშინვე ვიცანი ჩემ მიერ გამოგონილი სენი.

— რამდენჯერმე მომიკრავს ყური, რომ ინფლუენცა ამ საუკუნის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე სწვევია ევროპას,—შეენიშნე პატივცემულს პროფესსორს.

— მართალიაო,—სთქვა პროფესსორმა,—იმ გადამდებს ავადმყოფობასაც ინფლუენცას ეძახდნენ, მაგრამ გარჩევით ბევრად გაირჩეოდა ამ უკანასკნელისგან. იმ ძველად ცნობილ სენს მალარიის ხასიათი სრულად არა ჰქონდა; ჩემ მიერ გამოგონილის სენის უმთავრესი თვისებაკი სწორედ ეს მალარიის ხასიათია. ამისათვის დიდად სანანურად დამრჩა, რომ ეს მინა დავკარგე, რადგანაც დიდის ზარალის მოტანა შეუძლიან. მაგრამ, სჯობს, ისევ პირველს საგანს დავუბრუნდეთ. აი კიდევ სხვა მინა, № 31. ამ მინაში მოთავსებულია მიკრობები, რომლებიც ცოფისა და წყალმანკის მაგვარს სენს ავრცელებენ. ამ ახალს სენს სრულიად თავისი განსაკუთრებული თვისებანი და ნიშნები აქვს. იგი ჩემ პირველ გამოკვლევათა შორის უნდა ჩაირიცხოს და უთუოდ შესანიშნავის ძალით გავრცელდებოდა, რომ მეცადა. მაგრამ ამათ გარდა ბევრი სხვა სენია, რომელთა ძალაც ერთი ათად აღემატება უკვე ჩამოთვლილთ. აი ეს მინა-კი, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს და ამაში მოთავსებული მიკრობები ნაშდვილი სასწაულია ჩემ გამოკვლევათა შორის. აქ შერეულია ბ[illegible]კრობები ყველაზედ შხამიანისა და [illegible]ბიერის გველის „ტუბობა“-ს და შავის ჭირისა. აქვე უნდა შეკერ[illegible], რომ გველის შხამში მიკრ[illegible]ბი ერევიან. [illegible] სენს, რომელსაც ეს მიკრ[illegible]ბი ავრცელებენ, მე ვუწოდე „ალიფერი სიკვდილი“, რადგანაც მთელი ტანი ავადმყოფს სიკვდილის წინად ალისფრად ეღებება. ეს სენი ნახევრის საათის განმავლობაში ათავებს ადამიანს და ვერც ერთი წამალი ვერა ჰშველის. რაც შეეხება თითონ სენის გადადებას, იგი ყველაზედ სწრაფად ვრცელდება და ამისათვის სენთა მეფედ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ახლა რომ ეს მინა გავტეხო, ერთის საათის განმავლობაში ჩვენ ორთავეს სულს გაგვაფრთხობინებს და ორის დღის შემდეგ ქალაქში ადამიანის ხსენება აღარ იქნება, იქამდე ჩქარა ვრცელდება იგი. წარმოიდგინეთ, რა შედეგი ექნებოდა, რომ ჩვენ, გერმანელებმა, ფრანგებთან ბრძოლის დროს ამ ახლო ხანში ამ მიკრობებით ვისარგებლოთ. ამ მიკრობებით რომ ყუმბარა შევაზავოთ და მტრის ბანაკისაკენ ვისროლოთ, მეტი არ უნდა. ექვსის საათის განმავლობაში 400,000 მხედრობას ისე გაწყობს, რომ დამმარხველადაც-კი აღარავინ დარჩება.

ამ დროს პროფესსორის თვალები რაღაც უსაზღვრო სიამაყესა და კმაყოფილებას გამომეტყველებდა; სისუსტეც თითქოს არ ეტყობოდა, ვიდრე ლაპარაკს დაასრულებდა. მაგრამ გაათავა თუ არა ლაპარაკი, უცბად მოეშვა, იქვე სკამზედ ჩამოჯდა და მთხოვა მეორე ოთახში გამეყვანა.

როდესაც საფოზედ წამოწვა და ცოტა შეისვენა, ვკითხე, რა სიკეთეს მოელოდები ამ ავადმყოფობათა გაერკვევებით, რომლებიც კაცობრიობას უამისოდაც მუსრს ავლებენ მეთქი?

უკვე გითხარი, რომ კაცთმოყვარე ვარ, განაგრძო პროფესსორმა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მრავალს სხვას არა ვგვეარ, უფრო გონივრულად ვუკქერი ცხოვრებასა და იმედი მაქვს, არსად უკან არ დავიწეკ, თამამად გამოვთქვამ ყველგან ჩემს რწმენასა და აზრს ამის შესახებ. ჩემის აზრით, კაცობრიობის გადატაკებისა და მრავალ ვგარ ტანჯვათა მიზეზი ის არის მხოლოდ, რომ დედა-მიწა მცხოვრებლებით აივსო. ამ ბოროტების წინაღმდეგი საშუალებაკი აი, აქ ჩემს ლაბორატორიაშია. საჭიროა მხოლოდ მოვისუნთქო და მთელის ევროპის მცხოვრებთა ნახევარი ან მესამედიც აღარ დარჩება სულ მცირე ხნის განმავლობაში. რომ მართლა შესაძლებელია ეს, ნატამალი იქვიც-კი არა მაქვს. საკმარისია მხოლოდ აი ეს “ალისფერის სიკვდილის“ სითხე აქა-იქ ქუჩებზედ მივასხმოვასხა თუნდაც ლონდონში, რომ სულ რამდენისამე დღის განმავლობაში მთელი უზარ-მაზარი ქალაქი სასაფლაოს დაემსგავსოს. ეს სითხე გამვლელ-გამომვლელთა ფეხ-ქვეშ უცბად გახმება, ამტვერდება და ჰაერს შეუერთდება. ერთს მშვენიერს დღეს ისეთი უცნაური და საზარელი სენი იჩენს თავს, რომ ექიმები ვერაფერს ვერ გაუგებენ. რამდენისამე დღის შემდეგ ქალაქში ადამიანის ხსენებაც აღარ იქნება. მუშა და ღარიბი ხალხი მთლად ამოწყდება, მდიდარი-კი თუ მოასწრობს, თავს უშველის, გაექცეცა. მაგრამ მოისპობა თუ არა სენი, სამუშაოს უქონლობის ჩვილიც შესწყდება მაშინვე. მაშინ სამუშაო ყველას გასწვდება, ფასი აიწევს, და მუშის პირიდგან სამდურავსა და საყვედურს ველარავინ გაგონებს. ვთქვათ, ახლა ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი მინდა შევამციროო. კონვერტში ამ ბაციელებით გაეენთილს საზრდოს ჩავდებ და რომელისამე დიდის ფაბრიკის უფროსს ხელოსანს გავუგზავნი ფოსტით. გახსნის თუ არა ამ კონვერტს; „ალისფერ სიკვდილის“ მიკრობები ყველა მუშებს მოედება და ველარაფერით ვერ იხსნიან თავს. ექვი არ არის, სენი ზოგიერთის ფულის პატრონსა და მეფაბრიკესაც იმსხვერპლებს, მაგრამ უფრო-კი იმათ გაავლებს მუსრს, რომელთაც საშუალება არ ექნებათ თავს უშველონ და ქალაქიდგან გავიდნენ. ახლა-კი, ეჭვი არ არის, დამეთანხმებით, რომ მართალს ვამბობდი. როგორც ხედავთ, ევროპის მცხოვრებთა ნახევარის ბედი მთლად ჩემ ხელთ არის!..

ინ-ანი

(დასასრული იქნება)

ლება, რადგან ადგილის მდებარეობა მეტად მაღალია. გარდა ამისა, რკინის გზის მახლობელი სადგური 40 ვერსზეა და ეს გარემოება ბევრს დაბრკოლებას გაიჩენს. სკოლისთვის უფრო გამოსადეგი სკოლი მამულია. აქ უფრო იაფად დაჯდება სკოლის შენახვა, რადგან აქედან მოსავლის ბაზარში გატანა გაცილებით უფრო ადვილად შეიძლება.

კრებამ დაადგინა გაუგზავნოს თავ. ზ. გ. ერისთავს დეპუტაცია მოსალაპარაკებლად. დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავად-აზნაურთა მარშალი თავ. კ. ი. ᲛᲣᲠᲮᲜᲐᲠ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘ, თავ. ი. გ. ამილახვარი, თავ. ი. ს. ᲭᲐᲥᲣᲐᲫᲔ, თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. რ. შ. ერისთავი და თავ. კ. მ. ამირაჯიბი.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მიწერ-მოწერა სკოლის გარდასახადის გაწერის შესახებ. ტფილისის თავად-აზნაურთა რამდენჯერმე სთხოვეს უმაღლეს მთავრობას, ნება მოგვეცით სკოლის სასარგებლოდ ფული გავიწერათო, მაგრამ ეს შუამდგომლობა არც ერთხელ შეწყნარებულ არ იქმნა.

თავ. კ. ი. ᲛᲣᲠᲮᲜᲐᲠ-ᲑᲐᲢᲝᲜᲘ. მიზეზი ამ შუამდგომელობის მთავრობის მიერ, შეუწყნარებლობისა ის არის, რომ ამავე დროს თავად-აზნაურობა სთხოვს მთავრობას სხვა და-სხვა გარდასახადისაგან განთავისუფლებას.

Ჭ. ი. ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ამბობს, რომ ამ რუსეთის შიდა გუბერნიებში ხშირად მომხდარა, რომ თავად აზნაურობას ფული გაუწერია სკოლების სასარგებლოდო.

თავ. გ. ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ. თავად-აზნაურობისთვის მართლაც ძნელია მაგ გარდასახადის ატანა, შეუძლებელია მაგის სავალდებულოდ დაწესება. ვისაც ჰსურს, თვით შესწიროს ფულად.

Ს. ნ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲫᲔ. გადასახადი უფრველად გაწერილ უნდა იქმნას.

თავ. ი. გ. ᲭᲐᲥᲣᲐᲫᲔ. აქ დაასახელეს, ეს შუამდგომლობა იმიტომ არ იქმნა შეწყნარებული, რომ ერთს შემთხვევაში ვითხოვთ ზოგიერთი გარდასახადოდგან განგვათავისუფლეთო და მეორე შემთხვევაში-კი, პირიქით, გაგვაწერეთო. ჰო-და, სწორედ იმიტომ გვინდა ფული გავიწეროთ, რომ ღარიბები ვართ. მდიდარს შუამდამ შეუძლიან თავისის თავისათვის იზრუნოს, ღარიბს-კი არა, ამიტომ უნდა მოკრიბონ ერთმანეთში ფული, რომ თავიანთი საჭიროებანი დაკმაყოფილონ.

კრებამ დაადგინა ხელ ახლა იშუამდგომლოს, რომ ნება მიეცეს ამ ფულის გაწერისა.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა «ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოებისა» გამგე კომიტეტის შუამდგომლობა. ხსენებული კომიტეტი სთხოვს თავად-აზნაურთ, რომ სესხად მოგვეცით საჭირო თანხა სათავად-აზნაურო სკოლის შესანახავად მომავალ წლის იანვრამდე. ამ დროს სკოლა მიიღებს ბანკიდგან შემწეობას და ვალსაც გაისტუმრებს.

კრებამ შეიწყნარა ეს თხოვნა და ამითი დასრულდა ამ დღეს საქმეთა განხილვა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲛᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, დამატებითი არჩევანები ქალაქის ხმოსანთა, რომელთა რიცხვიც პირველს არჩევანებზედ ვერ იქმნა შევსებული, 1 ივნისისათვის იყო დანიშნული, დილის 8 საათზედ. არჩევანები გუბერნატორის თავ. გ. დ. შერვაშიძის განკარგულებით დილიდამ ნაშუადღევის 1-ლ საათამდე იქმნა გადადებული.

დღის $12^1/_2$ საათზედ 200-დე ამომრჩეველი შეიყარა, მაგრამ ქალაქის თავის თანამდებობის დროებით აღმამსრულებელმა ბ-ნმა ივანენკომ განაცხადა, რომ დანიშნულ დრამდე სხდომა არ დაიწყებოო. ამ დროს გაიოცხადდა, რომ კვლავ უარი განუცხადებიათ შემდეგს კანდიდატებს: ვ. ა. ტირიონს, ა. ბ. მელკუმოვს, თავ. ე. დ. თარხნიშვილს, ი. გ. თამამშევს, გ. კ. გვათუას, ვ. ი. გაბაშვილს, ა. ᲮᲐ. ბარხუდარიანცსა და ი. ᲓᲐ. ᲭᲔᲠᲜᲝᲕᲘᲡ. ხოლო არჩევანის სურვილი განეცხადებინათ შემდეგთ: თავ. გ. რ. ბეგთაბეგოვს, ი. ი. მაიერს, ა. გ. სერგეევსა და ი. Ა. ᲡᲣᲚᲗᲮᲐᲜᲝᲕᲘ *).

1-ლ საათზედ ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ ნმა ივანენკომ სხდომა გახსნა და წაკითხულ იქმნა სია კანდიდატებისა. სიის წაკითხვის დროს უარი განაცხადეს: ვ. დ. აბელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობას, შარშან, 1896 წელს, რა მიზეზით არა გქონდათ საზოგადო კრებაო. თავმჯდომარემ გამგეობისამ ბ ნმა ნ. ისარლიშვილმა ის მიზეზი დაასახელა, რომ შარშან იმ დროს, როდესაც კრების მოწვევა გვინდოდა, მოლაპარაკება გვქონდა არტისტებთან, მოსალოდნელი ხარჯი აღრიცხვა არ იყო შედგენილი და ამიტომ არ დავინახეთ საჭიროდ წევრთა წლიურის კრების მოწვევაო. ამის შესახებ რამდენსმე წევრმა გამოსთქვა თავისი აზრი და საერთოდ კრებამ ასეთი მიზეზი კრების არ-მოწვევისა შესაწყნარებლად არ იცნო.

აქვე გამოირკვა, რომ $18^{96}/_{97}$ წლის ფულის ანგარიში სარევიზიო კომისიას არ განუხილავს და არ შეუმოწმებია. სარევიზიო კომისიის წევრებად საზოგადოების 1895 წლიურს კრებას ამოურჩევია ყ. მ. ჩიქოვანი, თავ. კ. ვეზირიშვილი და ი. გ. რატიშვილი. თუმცა გამგეობას მიუწვევია, მაგრამ ამათ არ უცვნიათ საჭიროდ ანგარიშის განხილვა. კრებაზედ დამსწრე თავ. კ. ვეზირიშვილმა განუცხადა, რომ წესდების მე-24 §-ში ნათქვამია, რომ სარევიზიო კომისია ყოველ წელიწადს უნდა იქმნას ამორჩეულია. ამიტომ ჩვენ უფლება არა გვქონდა განგვეხილა და შეგვემოწმებინა ანგარიში $18^{96}/_{97}$ წლისა.

გ. დკანოზიშვილი. ჩემის აზრით, სარევიზიო კომისიის წევრნი სრულიად კანონიერად მოქცეულან. რაკი ისინი ერთის წლითა ყოფილან არჩეულნი, ერთის წლის შემდეგ აღარაფერი უფლება არა ჰქონდათ რევიზიის უფლება დაეჩემებინათ.

ს. ხანიზარიანი. რაკი 1896 წელს წლიური კრება არა ყოფილა, საზოგადოებას ამ მიზეზით ვეღარ ამოურჩევია სარევიზიო კომისია. ამ კომისიის წევრთ ზნეობრივად ნება არა ჰქონდათ უარი ეთქვათ თავიანთს თანამდებობაზედ და მათდამი მინდობილი საქმე უნდა შეეფასებინათ იმ დრომდე, ვიდრე ახალი სარევიზო კომისია არ იყო ამორჩეული. ეხლა, მეტი რა ღონეა, უნდა დავამტკიცოთ ანგარიში იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილია.

ასეთივე აზრი გამოსთქვა თვით თავმჯდომარემ კრებისამ, ბ-ნმა ვ. სულხანიშვილმა და ნ. ისარლიშვილმა.

დასასრულ წაკითხულ იქმნა, ვრცელი მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. ამ მოხსენების შესახებ ბაასი, რადგან გვიან იყო, გადადებულ იქმნა დღეს, ოთხშაბათს, 4 ივნისს, საღამოს 7 საათისათვის. ამ მოხსენების შინაარს შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

Ძ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. 1 თებერვალს, 9 საათზედ აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. თავისსაგე სახლში რეკოლვერით თავი მოიკლა ადგილობრივმა მცხოვრებელმა ფეოდორ თოთუშვილმა.

კახსენებული 30—35 წლისა იყო, უცოლ-შვილო, დედ-მამასთან და თავისსავე უმცროსს ძმასთან ერთად სცხოვრობდა.

დილით ჩაის დალევის დროს დედასთან აღელვება დაუწყია, სკვანაკოცნა და შემდეგ კასიღა მოუთხოვნია სკეიერის ტანსაცმლისა ამოსაღებად, რადგან დღეს კეთრა დღე და სუფთად უნდა ჩაეცვა. დედას დაუყოვნებლივ მიუცია. რაც ტანსაცმელი ჩაუცვამს, დაუწერია წერილები:

1) თელავის ბოქაულთან, რომელსაც ეთხოვება და სთხოვს ჩემს სიკვდილს ნურავის დაანრადებთო, მეთითონ მოგიკლავ თავი.

2) დედ-მამასთან, რომელთაც ეთხოვება და ანუგეშებს: ნუ შესწუხდებით ბეგრსა და 3) ძმასთან, რომელსაც გაახსენებს-რა, რომ ამ რამდენისამე წლის წინადაც მინდოდა თავი მომეკლა, სთხოვს, თუ დედ-მამის საამოსანება და პატიჟისცემა გინდა, „კარტის“ თამაშობას თავი დანებებო. თითონ გასხენებულიდგ ძალიან მიმდეარი და გატეტებული იყო „კარტ“-დოტოს თამაშობით და, როგორც ამბობენ, სიკვდილის წინა ღამეებში ბეგრი წაგია და მიზეზადაც ამას ასახელებენ ძმის თავის მოკვლისას. წაგებული ფულები ტფილისში ჭქონია გასაგზავნი მამასთან, რომელიც წინა ღამეს თითონ მოსულა, მაგრამ ერთმანეთში ისეთი სამაგალითო საეკარეული და ერთობა ჭქონდათ, რომ ძნელად თუ მამა გასწორდებოდეს ფულის წაგებას კამ.

გასხენებული ეკეკლს უეკარდა, თუმცა ტოტა არ იყოს ფაცხის ხასიათისა იყო, სულ მცირე რასმეზედ გული ადვილად მოუგიდოდა ხოლმე.

ტ. ი.

დამეკვირდი

რაც უფრო მოკლეა ბეკითობა, მით უფრო ხანგრძლივია დღე.

მარიამ ებნერ-ეშენბახისა

***

ჩეკულება მონობასსაც ადვილად ასტანებს ადამიანს.

პითაგორი

***

მამცა არასოდეს არ ეტყმა ძირს, თუ ეტყმა ძირს, ისეკ ის, ვინც თავს ამაცებს.

შეკსპირი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘᲗ

(ამოკრებილი ამბები)

ისეთი უბრალო რამ, როგორც მაგალითად, ნაბეგვია ფეზზედ, ანუ რუსები რომ იტყვიან „მოზოლ“, ძლიერ შეაწუხებს ხოლმე კაცსა. ამის წამალი ძლიერ ბეგრია, მხოლოდ თვით ეს სიმრავლე წამლებისა ამტკიცებს, რომ არც ერთი მთგანი უფაური არ არის. სხვა საშეალებათა შორის „მაზოლის“ წინააღმდეგ კარგი არის შემდეგი ორი საშეალება. აიღეთ ცოტა სელის ზეთი, გაურეთ შიგ ცარცის ფხვნილი და ეს მალამო დაადეთ დაბეგვილ ადგილზედ ანუ მაზოლზედ. მეორე საშეალება შემდეგია: ნიორი ჩასდეთ მაგარს ძმარში. ერთის დღეღამის შემდეგ ნიორი დაადეთ მაზოლს და ძირინდან ამოაგდებს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

1 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფა იმპერატორიცა ალექსანდრა თეოდორაც ასულის ავადმყოფობის ბიულეტენი: წარსული დღე-ღამე მისმა უდიდებულესობამ კარგად გაატარა. ძარღვი კარგად უცემს, სიცხეც არა აქვს დიდი.

ახლად დაბადებულს დიდს მთავრინა ტატიანა ნიკოლოოზის ასულს არავითარი ცვლილება არ ეტყობა, ჯან-საღად არის.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘ. 30 მაისს მინისტრებს საგანგებო ბჭობა ჰქონდათ, 31 მაისს მეოთხე სხდომა იყო იმის შესახებ, რომ მშვიდობიანი მორიგება მოხდეს; საელჩოებს იმედი აქვთ ამ სხდომამ საქმე დაავგირგვინოს. შემდეგ ელჩებსაც ჰქონდათ ბჭობა.

ᲠᲘᲜᲔᲤᲔᲚᲓᲘᲜᲘ. მდინარე რეინზედ გადებული დახურული ხის ხიდი ჩაინგრა, ცეცხლი წაეკიდა და წყალმა წაიღო. მიზეზი ჯერ არ იციან.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. როდესაც ჰაერში მფრენი ბელფერტი და მეხანიკოსი კნაბბე ჰაეროსტატით ფერინდენენ ასე 1000 მეტრის სიმაღლეზედ, აპპარატი აფეთქდა, ჰაეროსტატს ცეცხლი გაუჩნდა, საჯდომი წნული მოეხსნა და თავსბრუ-დამსხმელის სისწრაფით დაეშვა ძირს ტემპელგოფის მახლობლად. ბელფერტი და კნაბბე ორივე მკვდარი იპოვნეს, მთლად დაბუგულნი ცეცხლისაგან. უთუოდ ბენზინის მმოძრავს მანქანას გაუჩნდა ცეცხლი.

ᲙᲐᲚᲐᲥᲘᲗᲐ. აქ მიწა იძრა. მრავალი შენობა დაზიანდა. ხოვრაზში ბევრი სახლი დაიქცა. შუადამისას მეორედ და უფრო ძლიერად იძრა მიწა. ქალაქის ზოგიერთს ნაწილში თითქმის არც ერთი სახლი არ გადურჩა დაუზიანებელი. ტაძრის ერთის კოშკიდგან ასე 15 ფუტის სიმაღლეზედ მთლად მოირღვა კედლები და სახოგადო შენობებიც ბევრი დაშავდა. მიწის ძვრის დროს 8 ადგილობრივი მცხოვრები იქმნა მოკლული და მრავალი დაშავდა. ევროპიელთაგან არავინ დაშავებულა. გუნგსა და ბარდავლშიაც ბევრი ზარალი მისცა ხალხს მიწის ძვრამ.

2 ივნისი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ბიულეტენი ხელმწიფა იმპერატორიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა: ამ უკანასკნელს დღესაც არავითარი ცვლილება არ ეტყობა. თავს კარგად ჭრძობს.

ახლად შობილი დიდი მთავრინა ტატიანა ნიკლოოზის ასული სრულიად კარგად იმყოფება.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 1 ივნისს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტი დოღის სანახაგად მიდიოდა ლონშანს, ვიღაც ახალგაზდამ თოფი ესროლა, მაგრამ არავინ დაუჭრია. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ბოროტ-განზრახველს რევოლვერი-კი არ ესროლა, წამლით გატენილი თუჯის ლული ესროლა და იგი აფეთქებულიყო. ლულის მახლობლად იპოვნეს: ფორის შეურაცხმყოფელი ბარათი, ერთ-ლულიანი დამბაჩა და პატარა ხანჯალი, რომელზედაც მუქარა იყო ამოკრილი ფორის შესახებ. როგორც ჰფიქრობენ, ბოროტ განმზრახველი ტკუდამ შეშლილი უნდა იყოს. აფეთქდა თუ არა ლულა, ბოროტ-განმზრახველი გაიქცა და ვერ დაიჭირეს.

ᲚᲐᲛᲘᲐ. ტყვეების განთავისუფლების შესახებ მოლაპარაკება დღეს დაიწყება. ოსმალებს 230 ტყვე ჰყავთ; ამათგან რამდენიმე თავისუფალი მეომარია, ბერძნებს 200 ტყვე ჰყავთ. ამათში ორი ოფიცერია.

ოსმალებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს ნიზამის ჯარის დატყვევების შესახებ, რომელთაც სოფელი გაძარცვეს ნეიტრალურს ადგილში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გამოირკვა, რომ ჯაგბიდგან მოისმა თურმე თოფის ხმა და იმ დროს, როდესაც პრეზიდენტმა გაიარა, პოლიც ავარდა. ხალხში მცირედი მღელვარება მოხდა, მაგრამ როდესაც გამოირკვა, არავინ დაჭრილაო, კორტეჟი ისევ გზას გაუდგა. პოლიციის ორი აგენტი მაშინვე ჯარებისაკენ გაექანენ, მაგრამ ველარავინ იპოვეს, გარდა უკვე მოხსენებულის საგნებისა. იქვე იპოვნეს ამ შინაარსის ბარათი: „სასჯელი ფელიქს ფორს“. გამძვინვარებულმა ხალხმა პოლიციის აგენტს იარაღი დაუნახა ხელში, იფიქრა, უთუოდ ეს არის ბოროტ-განმზრახველიო, ქოლგები და ჯოხები დაუშინეს თავში და რამდენსამე ალაგას გაუტეხეს. როგორც იყო, ბოლოს ამხანაგებმა პოლიციისავე აგენტებმა ძლივს განათავისუფლეს უდანაშაულო პოლიციელი. პოლიციის პრეფექტმაც მეტის-მეტად აბნეული ჩვენება წარადგინა, როდესაც ამის შესახებ შეეკითხნენ. როგორც ჭფიქრობენ, იარაღი მეტის-მეტად უხერხულად და უბრალოდ ყოფილა გაკეთებული და ბოროტ-განმზრახველს დაუნახავს თუ არა პროცესსია, ჯოხზედ მიმაგრებულის სანთლით წუკიდებია ცეცხლი პატრუქისათვის. ბოროტ-განზრახვამ ფუჭად ჩაიარა, დამნაშავემ თავს უშველა. მაინც დიდს ზარალს ეს იარაღი ვერ მოიტანდა.

3 ივნისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ბიულეტენი: ხელმწიფე იმპერატორიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და აგრეთვე უმაღლეს ახლად შობილის დიდის მთავრინასი ტატიანა ნიკოლოოზის ასულის ჯან-მრთელობა ყოველ მხრივ მეტად კმაყოფილია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ათინიდგან იწყებიან, რომ ოსმალეთი 5 მილიონს დასჯერდება სამხედრო საზღვაურს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ფოჩს მისალოცი დეპეშები მიუვიდა სხვა სახელმწიფოთა მეფეებისაგან.

აღმოჩნდა, რომ ის მილი, რომელიც პრეზიდენტს ესროლეს, საში-ში არა ყოფილა. მილში მხოლოდ თოფის წამალი იყო, ქაღალდით დაცული და იმიტომ გამოიღო დიდი ხმა და კვამლი.

დიდნი სახელმწიფონი ურჩევენ ოსმალეთს, რაც შეიძლება მცირე საზღვაურს დასჯერდიო; ოსმალეთი თანხმაა ამაზედ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. პოლიციას გუმანი აქვს ორ უცხოელზე და ერთს ანარქისტზე, რომლებიც ჰაოვინციიდგან მოსულან. სახლებს უჩხრეკავენ უფრო ელზასელებსა და პოლონელებს.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს, რომელმაც მოსკოვის ქართველ სტუდენტებს შემოსწირა სამოცდა-თხუთმეტი მანეთი ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად.

მოსკოვის ქართველ სტუდენტთა ამხანაგობის მონდობილობით

ალექსანდრე ჯაკაბიშვილი

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲐ 1897 ᲬᲔᲚᲡ

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა: